

ბანმარტეპიტი ბარათი

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

პატიმრობის კოდექსში არსებული ხარვეზი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

ფსიქიატრიული აშლილობის მქონე მსჯავრდებულთა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ესპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს კოდექსის 40¹ მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანას, რომლითაც სავალდებულო გახდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ფსიქიატრიული კომისიის დასკვნის შემდეგ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ესპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება და ამ უკანასკნელის დასკვნის საფუძველზე ფსიქიატრიული აშლილობის მქონე მსჯავრდებულთა გადაგზავნა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ასეთი პირობები არ არსებობენ.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

პროექტით რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი გათვალისწინებული არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.